Kausalität (nach der herrschenden Bedingungs- oder Äquivalenztheorie)

Der Kausalzusammenhang zwischen Handlung und Erfolg ist ein wesentliches Merkmal des objektiven Tatbestands bei Erfolgsdelikten. Um die strafrechtliche Verantwortlichkeit einer Person für einen eingetretenen Erfolg zu begründen, muss ihr Verhalten ursächlich für diesen Erfolg gewesen sein. Das deutsche StGB enthält keine explizite Definition der Kausalität. Nach der herrschenden Bedingungs- oder Äquivalenztheorie besteht ein Kausalzusammenhang (nur dann), wenn die Handlung des Täters nicht hinweggedacht werden kann, ohne dass der Erfolg in seiner konkreten Form entfiele, der Täter also eine Bedingung gesetzt hat, ohne die ebendieser Erfolg zu diesem Zeitpunkt in dieser konkreten Ausprägung nicht eingetreten wäre (daher auch: *Conditio-sine-qua-non*-Formel). Hierbei sind alle Bedingungen des Erfolgs rechtlich gleichwertig (äquivalent). Reserveursachen sind hingegen unbeachtlich, d.h. es spielt keine Rolle, dass ein vergleichbarer Erfolg zu einem späteren Zeitpunkt oder in anderer Form ebenfalls eingetreten wäre. Auf dieser Theorie basiert auch Art. 8 gStGB, der im Unterschied zum deutschen Strafgesetzbuch eine gesetzliche Regelung der Kausalität vorsieht. Hier findet sich auch eine Umschreibung der Kausalität des Unterlassens, die dann vorliegt, wenn der Täter eine spezielle rechtliche Handlungspflicht, eine Handlungsmöglichkeit und die Möglichkeit zur Vermeidung des Erfolgs hat. Liegt eine der genannten Voraussetzungen nicht vor, ist die Kausalität des Unterlassens ausgeschlossen. Im deutschen Recht wird im Falle des Unterlassens hingegen überwiegend von einer „Quasi-Kausalität“ gesprochen, die nach herrschender Ansicht in Umkehrung der oben genannten *Conditio-sine-qua-non*-Formel dann vorliegt, wenn die unterlassene Handlung des Täters nicht hinzugedacht werden kann, ohne dass der Erfolg in seiner konkreten Form entfiele. (Tre/Tts)

მიზეზობრიობა (გაბატონებული პირობათა თეორიის მიხედვით)

მიზეზობრივი კავშირი არის ქმედების ობიექტური შემადგენლობის არსებითი ნიშანი შედეგიან დელიქტებში. იმისთვის, რომ პირს პასუხისმგებლობა დაეკისროს დამდგარი შედეგისთვის, აუცილებელია დადგინდეს მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და შედეგს შორის. გერმანულ სისხლის სამართლის კოდექსში არ არის მოცემული მიზეზობრიობის დეფინიცია. გაბატონებული პირობათა ანუ ექვივალენტურობის თეორიის მიხედვით მიზეზობრივი კავშირი (მხოლოდ) მაშინ არსებობს, როცა დამნაშავის ქმედების გარეშე შედეგი კონკრეტული ფორმით არ დადგებოდა, მაშასადამე, დამნაშავემ შექმნა პირობა, რომლის გარეშეც შედეგი მოცემულ დროს ამ კონკრეტული ფორმით არ განხორციელდებოდა (*Conditio-sine-qua-non*-ფორმულა). აქედან გამომდინარე არის ყველა პირობა შედეგისთვის სამართლებრივად თანაბარღირებული (ექვივალენტური). ამიტომ სხვა მიზეზები არ არის გასათვალისწინებელი, რაც იმას გულისხმობს, რომ არანაირ როლს არ ასრულებს ის, რომ ისეთივე შედეგი მოგვიანებით ან იმავე დროს

მაგრამ სხვა ფორმით დადგებოდა. აღნიშნულ თეორიას ეფუძნება სსსკ-ის მე-8 მუხლი, რომელიც, გერმანული სისხლის სამართლის კოდექსისგან განსხვავებით, მიზეზობრიობის საკანონმდებლო რეგულირებას ითვალისწინებს. აღნიშნულ ნორმაშია ასევე განსაზღვრული უმოქმედობის მიზეზობრიობა, რომელიც მაშინ არის სახეზე, როცა დამნაშავეს აკისრია მოქმედების სპეციალური სამართლებრივი მოვალეობა, აქვს მოქმედების შესაძლებლობა და შედეგის თავიდან აცილების შესაძლებლობა. თუ დასახელებული წინაპირობებიდან რომელიმე არ არის სახეზე, უმოქმედობის მიზეზობრიობა გამოირიცხება. გერმანულ სამართალში უმოქმედობის შემთხვევებში საუბარია „კვაზი მიზეზობრიობაზე“, რომელიც გაბატონებული შეხედულების მიხედვით, ზემოთ დასახელებული *Conditio-sine-qua-non*-ფორმულის პირუკუდ მაშინ არის სახეზე, როცა დამნაშავის უმოქმედობის გარეშე შედეგი თავისი კონკრეტული ფორმით არ დადგებოდა. ამისთვის საკმარისია უტყუარობასთან მოსაზღვრე ალბათობა. (Tre/Tts)